კულტურის სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მრავალმხრივ და ორმხრივ საერთაშორისო ფორმატებში

DOI:10.36962/ECS106/3-5/2024-93

სოფიო ჩანთაძე
სტუ დოქტორანტი,
სტრატეგიული განვითარების მენეჯერი,
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
E-mail: schantadze@hotmail.com

რეზიუმე

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კულტურისა და რბილი ძალის როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, განსაკუთრებით დიპლომატიური კავშირების ჩამოყალიბებაში და ერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში.

საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში არის პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესი, რადგან ევროკავშირი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა. თუმცა, მისი დევიზი „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს, რომ ევროპელები გაერთიანდნენ მთავარი პოლიტიკური მიზნის, მშვიდობის გამო, ასევე მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის და ევროკავშირის მეშვეობით, უპირატესობად მიიჩნევენ კულტურის, ტრადიციებისა და ენების მრავალფეროვნებას.

ევროკავშირი ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია საერთაშორისო ურთიერთობებში რბილი ძალის ეფექტურად გამოყენების კუთხით. ამასთან, კულტურა ევროინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსურ სფეროდ შეგვიძლია გამოვყოთ. შესაბამისად, ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით არსებითია საფუძვლიანად გაანალიზდეს კულტურის სფეროში ევროპული და ევროპის განვითარებული ქვეყნების განვლილი გზა და გამოცდილება იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საქართველოსათვის შესაბამისი სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა სტრუქტურული, ერთიანი და ეფექტური კულტურის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ევროპული საბჭოს მიერ 14 დეკემბერს საქართველოსათვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მინიჭებით საქართველო ოფიციალურად გახდა ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ნაწილი. შესაბამისად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა საქართველოსათვის, ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის გაანალიზება, რომელსაც ის აქტიურად იყენებს საგარეო ურთიერთობების წარმოებისას.

კულტურული პოლიტიკის გავლენა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ურთიერთობებზე ვლინდება, როგორც მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც აყალიბებს მათი ურთიერთკავშირის განვითარებას. კულტურის სფეროში თანამშრომლობა არის გადამწყვეტი ელემენტი, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთგაგებას, იდენტობის შენარჩუნებას და საერთო ღირებულებების ჩამოყალიბებას.

შესაბამისად ჩვენს მიერ საქართველო ევროკავშირის თანამშრომლობის ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების ანალიზი ასახავს იმ მნიშვნელოვან დეტალებს, თუ როგორ არის კულტურის სფეროში ურთიერთო-

ბები ჩამოყალიბებული ევროკავშირსა და საქართველოს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის ფარგლებში.

ევროკავშირის კულტურული პოლიტიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, მისი სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის ასოცირების შეთანხმებებით, მხარდაჭერის პაკეტებით და კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, გადამწყვეტ როლს თამაშობს. ეს მექანიზმები პრიორიტეტულ ფუნდამენტურ ღირებულებებს ანიჭებენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს და კულტურულ თანამშრომლობას, რაც გამოხატულია ევროკავშირის განსხვავებულ მიდგომებში თითოეული ქვეყნის უნიკალური გარემოებების შესაბამისად.

ევროკავშირის კულტურული პოლიტიკის ანალიზი აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში ხაზს უსვამს კულტურის გადამწყვეტ როლს დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, თანამშრომლობის გაღრმავებაში და კულტურის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდაში. ამრიგად, აუცილებელია განისაზღვროს და დაინერგოს კულტურის სფეროში ევროკავშირთან თანამშრომლობის მიზანმიმართული ეფექტური პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის კულტურული პოლიტიკა, რბილი ძალა, ევროინტეგრაცია, ევროპული პერსპექტივა.

შესავალი

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხოება, დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა - არა მარტო მის უშუალო სამეზობლოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ამ პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია „რბილი ძალა“, რაც გულისხმობს დახმარებას განვითარებაში (Fontaine, 2014, p. 48).

ევროკავშირი ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში რბილი ძალა წარმოადგენს მის ძირითად რესურს (Nielsen, 2013, p. 724).

ევროკავშირის პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნების კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და განვითარებას. კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება პარტნიორ ქვეყნებთან წარმოადგენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ქმნის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამოქმედო ჩარჩოს. ამ ფორმატს შემოაქვს ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პერსპექტივა სამხრეთ და აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობაში. ის შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის მომავალი გაფართოების ერთ-ერთ საფუძვლად, თუმცა არ წარმოადგენს არც მის ცალსახა წინაპირობას და არც მის ალტერნატივას.

ამასთან, 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე, ENP-ის ფარგლებში დამტკიცდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (EaP), რომელიც აღმოსავლეთ რეგიონში არსებულ სპეციფიკას უფრო სიღრმისეულად გაითვალისწინებდა და ამ რეგიონის ქვეყნების მიმართ პოლიტიკა, უფრო დიფერენცირებული მიდგომით, რეგიონის განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით შემუშავდებოდა.

აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაღრმავებას ექვს აღმოსავლელ მეზობელთან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ის, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებით, ხელს უწყობს აღმოსავლეთ მეზობელი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

ინიციატივა მოიცავს ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატებს: ასოცირების შეთანხმებებს (AAs), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონებს (Deep and Comprehensive Free Trade Areas - DCFTAs), მჭიდრო სექტორულ თანამშრომლობას, ვიზების გამარტივებას და გრძელვადიან ვიზალიბერალიზაციას (Visa Facilitation and Readmission Agreements). გარდა ამისა, დაინერგა ყოვლისმომცველი ინსტიტუციური აღმშენებლობის პროგრამები აღმოსავლელი პა-

რტნიორების ადმინისტრაციული შესაძლებლობების განსავითარებლად (ევროპის საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი).

აღმოსავლეთის პარტნიორობა ხელს უწყობს ამ ქვეყნებში რეფორმების განხორციელებას, ბაზრებისა და საზოგადოებების ინტეგრაციასა და სტაბილურობას ევროპის კონტინენტზე.

ძირითადი ნაწილი

2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ჩათვლით და 2016 წლის 1 ივლისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

შეთანხმების პრეამბულაშივე ხაზგასმულია რომ მხარეები მოწოდებულნი არიან გააძლიერონ ადამიანთა შორის კონტაქტები (people-to-people contacts), მათ შორის თანამშრომლობისა და გაცვლის გზით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ბიზნესის, ახალგაზრდობის, განათლებისა და კულტურის სფეროებში.

შეთანხმების მე-17 თავი, თანამშრომლობა კულტურულ სფეროში მოიცავს 362 და 363 თავებს, რომლებიც განმარტავს, რომ მხარეები ხელს შეუწყობენ კულტურულ თანამშრომლობის განვითარებას, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) „კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ 2005 წლის კონვენციის გათვალისწინებული პრინციპების გათვალისწინებით. მხარეები შეეცდებიან წარმართონ რეგულარული პოლიტიკური დიალოგი ორმხრივი ინტერესის სფეროებში, მათ შორის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაში ევროკავშირსა და საქართველოში. ასევე, მხარეებს შორის თანამშრომლობა, ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, მათ შორის ევროკავშირიდან და საქართველოდან კულტურის სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით.

363-ე მუხლში დეკლარირებულია თანამშრომლობის გაძლიერება შემდეგ სფეროებში:

- კულტურული თანამშრომლობა და კულტურული გაცვლა;
- ხელოვნებისა და ხელოვანების მობილურობა და კულტურის სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება;
- კულტურათაშორისი დიალოგი;
- კულტურული პოლიტიკის შესახებ დიალოგი;
- თანამშრომლობა საერთაშორისო ფორუმებში, როგორიცაა იუნესკო და ევროპის საბჭო, inter alia, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის და კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით.

რაც შეეხება შეთანხმების მე-18 თავს, ის ეხება თანამშრომლობას აუდიოვიზუალურ და მედია სფეროებში და მოიცავს მუხლებს 364-367, რომლებიც გულისხმობს თანამშრომლობის გაძლიერებას აუდიო-ვიზუალურ ინდუსტრიებში, მათ შორის, კოპროდუქციის წახალისების გზით კინოსა და ტელევიზიის სფეროებში.[1]

შეთანხმებაში ხაზგასმულია, რომ მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას აუდიოვიზუალურ სფეროში, რომელიც ასევე მოიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს კანონმდებლობის დაახლოების მიმართულებით და სწორედ ამ უკანასკნელზეა დამოუკიდებული, მედიის მიმართულებით, შემოქმედებითი ევროპის პროგრამით სრულად სარგებლობის შესაძლებლობა. რაც ნიშნავს იმას, რომ იქამდე სანამ სრულად შესაბამისობაში არ მოვა საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივასთან, მანამდე ვერ შეძლებს საქართველო სრულყოფილად ისარგებლოს შემოქმედებითი ევროპის, მედია კომპონენტის ფარგლებში, პროექტების ხელშეწყობით.

2017 წლის 20 ნოემბერს ევროკავშირმა და საქართველომ მიიღეს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020 წლების პერიოდისთვის. ასოცირების ახალი დღის

1 https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)

წესრიგი, წინასთან შედარებით უფრო ამბიციურია, რაც საქართველოს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად მიუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებს.[1] აღნიშნული დღის წესრიგის ფარგლებში საქართველო ყოველწლიურად ახორციელებს ანგარიშგებას, განხორციელებული რეფორმებისა და წინ გადადგმული ნაბიჯების შეახებ.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგი კულტურის მიმართულებით, მოიცავს კულტურის სფეროში თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით:

- კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის იმპლემენტაცია;
- საქართველოში ინკლუზიური კულტურული პოლიტიკის განვითარებისა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ვალორიზაციის საკითხებზე თანამშრომლობა, სოციო-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- საქართველოს კულტურის წარმომადგენლებისა და აუდიოვიზუალური ოპერატორების მონაწილეობის მხარდაჭერა კულტურული/აუდიოვიზუალური თანამშრომლობის პროგრამებში, მათ შორის შემოქმედებითი ევროპის პროგრამაში.

ამისათვის საქართველო ითანამშრომლებს ევროკავშირთან შესაბამისი საკანონმდებლო დაახლოების მიმართულებით აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში, ევროპული სტანდარტების შესაბამისად მედიის დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის მხარდაჭერისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, დაახლოების მიმართულებით, აუდიოვიზუალურ პოლიტიკასა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე, კულტურული მრავალფეროვნების ასპექტების გათვალისწინებით და რეგულარული დიალოგის მეშვეობით.

2018 წლის ანგარიშის გათვალისწინებით, პოზიტიურად შეფასდა სამინისტროს მიერ შემუშავებული 2020-2025 წლის კულტურის სტრატეგიის განსახორციელებელი მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით გადაგმული ნაბიჯები, კერძოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვისა და GIS პორტალის შემუშავება; 2018 წლის ბოლოსთვის საქართველოს გაზრდილი მონაწილეობა შემოქმედებითი ევროპის პროგრამაში, ოცდაორი წარმატებული პროექტი და ასევე ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიმართლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომელიც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის დირექტივასთან - აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ (EU Directive on Audiovisual Media Services). ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის დეკემბერში დაამტკიცა რამდენიმე ცვლილება და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (GNCC) დაეკისრა მედიანიგნიერების ხელშეწყობის, განვითარებისა და მონიტორინგის ფუნქცია.

რაც შეეხება 2019 წლის შეფასებას, პოზიტიურად არის ასახული აპრილში საქართველოს მიერ დაწყებული ფართომასშტაბიანი კამპანია „საქართველო, ევროპა“, რომლის მიზანია ევროკავშირის ცნობიერების ამაღლება საქართველოში და პირიქით. მოსამზადებელი სამუშაოები 2021 წელს ევროპალიასა და პარიზის წიგნის ბაზრობაზე, როგორც „სტუმარი ქვეყანის“ მონაწილეობის მისაღებად და კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის დირექტივასთან აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების შესახებ სრული შესაბამისობის მისაღწევად, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის უახლეს დირექტივას რადიოაღჭურვილობის შესახებ (EU Directive on radio equipment).

2020 წლის ანგარიშის შეფასებაში ხაზგასმულია საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი კულტურის სფეროში, კულტურული პროექტებისა და ღონისძიებების სახელმწიფო დაფინანსების მეთოდოლოგიისა და მექანიზმების დახვეწის მიმართულებით, თუმცა ასევე აღნიშნულია,

1 https://mfa.gov.ge/en/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia

რომ არ მომხდარა კულტურის სტრატეგიის იმპლემენტაცია და მონიტორინგი. ასევე ვერ განხორციელდა კულტურის ინდუსტრიების ეფექტური ინტეგრირება ეკონომიკურ განზომილებაში.

ამასთან, პოზიტიურად არის აღნიშნული, რომ საქართველო აგრძელებს სარგებლობას რეგიონული პროგრამებით და კულტურის მიმართულებით ესენია: EU4Culture, EU4Dialogue და EU4Digital.[1]

რაც შეეხება ამ ფორმატში საქართველოს ბოლო ანგარიშს, 2021-2022[2] წლების შესრულებაში აღნიშნულია, 2021 წლის მარტში, განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს გამიჯვნა, როგორც გარკვეულწილად შემაფერხებელი ფაქტორი სფეროს შემდგომი განვითარებისა. ამასთან, რეორგანიზაციები და კულტურის სფეროში მენეჯმენტის ფართომასშტაბიანი ცვლილებები განხილულია, როგორც უკმაყოფილების გამომწვევი კულტურის ინსტიტუტებისა და აქტორების დამოუკიდებლობის მიმართულებით. ხოლო პოზიტიურ კონტექსტში ხაზგასმულია, 2021 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მიერ კრეატიული ევროპის 2021-2027 წლების პროგრამაში მონაწილეობის შესახებ[3] შეთანხმების ხელის მოწერა.

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე დაწყებულმა აგრესიულმა ქმედებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორებთან ურთიერთობის ფორმები, გამოწვევის წინაშე დააყენა, როგორც ევროპა ასევე პარტნიორი ქვეყნები და მათ შორის, განსაკუთრებით საქართველო.

2022 წლის მარტში საქართველომ განაცხადი გააკეთა ევროკავშირის წევრობაზე, 2022 წლის 23 ივნისს კი ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მიენიჭა ევროპული პერსპექტივა და გამოხატულ იქნა მზადყოფნა, ქვეყანას კანდიდატის სტატუსიც მიენიჭოს. დოკუმენტის თანახმად, საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს იმ დათქმით, რომ ის შეასრულებს კომისიის მიერ 2022 წლის ივნისში დადგენილ ყველა პირობას (12 პრიორიტეტი)(Emerson & Blockmans, 2023).

2022 წლის 6 სექტემბერს საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი (2021-2027 წწ.) დაამტკიცეს.

მანამდე თუ მზადდებოდა ასოცირების განხორციელების ყოველწლიური ანგარიშები საქართველოს შესახებ (Association Implementation Report on Georgia), 2023 წელს მომზადდა დოკუმენტი ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ (2023 Communication on EU Enlargement policy) (European Commission, 2023).

ევროპული პერსპექტივის მიღებით, საქართველო ოფიციალურად ხდება ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ნაწილი. საქართველოს შესახებ ანგარიშები 2023 წლის და შემდგომი გაფართოების პაკეტების ფარგლებში მომზადდება, რომელიც მოიცავს 33 თავს სხვადასხვა მიმართულებით. ანგარიშები შეაფასებს საქართველოს მიერ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების დონეს, რასაც დაეფუძნება გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ და შემდგომში, გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების შესახებ.

ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის 2023 წლის ანგარიშის 26-ე მუხლის ფარგლებში, რომელიც მოიცავს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის ნაწილს, საქართველოს მიერ წარდგენილი ინფორმაციის შეფასება, კულტურის მიმართულებით, საერთო ჯამში შეგვიძლია დადებითად მივიჩნიოთ. ვინაიდან ევროკომისიის დასკვნაში პოზიტიურ კონტექსტშია ხაზგასმული საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი კულტურის შესახებ და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფენ საქართველოში მხატვრული გამოხატვის თავისუფლებას.

ამასთან, განსაკუთრებით პოზიტიურად არის შეფასებული 2020-2025 წლების კულტურის

1 https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/2021_association_implementation_report_in_georgia.pdf

2 იგი მოიცავს მოვლენებს 2021 წლის 5 თებერვალიდან 2022 წლის 6 სექტემბერამდე.

3 https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-11784-2022-INIT/en/pdf?fbclid=IwAR0Rvoq7lQj8YL3-PMf-jjOdai5oz2unGKvAOT89IH9gsbL2qq-lslAq-HRo

სტრატეგია, რომელიც ფართოდ ასახავს კულტურის ახალი ევროპული დღის წესრიგის ზოგად პრიორიტეტებს. თუმცა, აღნიშნულია, რომ ინფორმაცია მისი განხორციელების შესახებ საკმაოდ მწირია და დიალოგი მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის რჩება გარკვეულწილად შეზღუდული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას გააძლიეროს საზოგადოებასთან კონსულტაციები და სამოქალაქო დიალოგი კულტურის სფეროში.[1]

დასკვნაში ასევე ხაზგასმულია, რომ საქართველო არის კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის ხელმომწერი და რომ საჭიროა კულტურის მეტი სტიმულირება, ლობირება და მხატვრული გამოხატვის მრავალფეროვანი სპექტრის საქმიანობის დაფინანსება.

შესაბამისად, ანგარიშში კულტურის მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული შეუთავსებლობა ან განსაკუთრებული წინაპირობები თანამშრომლობის გაღრმავებისათვის არ არის გამოყოფილი და მოიცავს მხოლოდ რამდენიმე სარეკომენდაციო ხასიათის მოწოდებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იქნება საქართველოს მიერ კულტურის ხელშემწყობი სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვის დროს.

2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ გაფართოების პოლიტიკის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა და ევროპულ საბჭოს მისცა რეკომენდაცია საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ხოლო 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა იმ დათქმით, რომ კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციით განსაზღვრული 9 მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგმება[2].

კანდიდატის სტატუსის მოპოვებისა და ევროკავშირთან ურთიერთობების შემდგომი პროგრესის – მათ შორის, გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების – მთავარი საყრდენი ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომის შემუშავებაა. ეს გულისხმობს ევროკავშირთან ურთიერთობების ყოველი ახალი ეტაპისთვის ქვეყნის დემოკრატიულ მზადყოფნას – დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფილ ფუნქციონირებას, სამართლის უზენაესობის განუხრელ დაცვასა და სამოქალაქო საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას.

ევროკავშირის წევრობა ევროკავშირისგან გულისხმობს არა მხოლოდ სარგებლის მიღებას, არამედ საქართველოს წვლილის გამოკვეთასაც ევროკავშირის შემდგომ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაში (ჯანჯალია, 2023). ამ მხრივ მნიშვნელოვანია, საქართველოს ღირებულებები, როგორც ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე, ისე ევროკავშირის წევრობის მიღწევის შემდეგ, შეესაბამებოდეს ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებს. ამასთან, ძალზედ მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხრიდან იმის დეკლარირება, რომ ის მტკიცედ ერთგული რჩება საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის საკითხში მის მიერ გამოცხადებული პოლიტიკის, ისევე როგორც, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რეგიონების საკითხებში, გრძელვადიანი კონფლიქტის მოგვარების პროცესის მხარდამჭერი.

შესაბამისად საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი დგას, ევრო ინტეგრაციასთან ასე ახლოს საქართველო ჯერ არასოდეს ყოფილა და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, თითოეული მიმართულებით, რომელ მიმართულებებსაც მოიცავს ევროინტეგრაციის ანგარიშები, გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება, მათ შორის კულტურის სფეროში.

დასკვნა

ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის ანალიზი, აღმოსავლეთის ქვეყნების და განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებით, არსებითი შეფასების საშუალებას იძლევა. რეგიონის ქვეყნებს შორის მრავალფეროვნებისა და მათი განსხვავებული კულტურული პრიორიტეტების აღი-

1 EUROPEAN COMMISSION, Association Implementation Report on Georgia, 2023 Communication on EU Enlargement policy Brussels, 8.11.2023

2 https://mfa.gov.ge/en/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia

არება ნიშანდობლივია. გაფართოების დღის წესრიგში კი კულტურის ინტეგრაციის ხაზგასმა და მისი როლის აღიარება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაში, გასათვალისწინებელი მოსაზრებებია.

ერთიანობაში შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე საკვანძო მიმართულება, რომელიც გამოიკვეთა ევროკავშირის მხრიდან ეფექტური მხარდაჭერის ფარგლებში. მნიშვნელოვანია კულტურული პოლიტიკის შემუშავებაში განგრძობადი მხარდაჭერა, ქვეყნების სპეციფიკაზე მორგებული მიდგომებით, რომელიც აკმაყოფილებს თითოეული ქვეყნის განსხვავებულ საჭიროებებს.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაფინანსების მექანიზმების გაძლიერება მდგრადობის უზრუნველსაყოფად და კულტურული პროგრამების მხარდაჭერა, მათ შორის შესაბამისი მექანიზმების ჩამოყალიბება ხელოვანების, კულტურის სფეროში მოქმედი ინსტიტუტებისა და პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო განვითარებას.

მნიშვნელოვანი თანმიმდევრული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურული მრავალფეროვნების, მათ შორის მემკვიდრეობის, ენებისა და მხატვრული გამოხატულების ხელშეწყობას. ინვესტიცია კულტურის პროფესიონალების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაში აუცილებელია აქტიური და მცოდნე კულტურის სექტორის ჩამოყალიბებისათვის.

ევროკავშირის ინკლუზიური და მონაწილეობითი მიდგომები, რომლებიც აერთიანებს ადგილობრივ თემს და სამოქალაქო საზოგადოებას კულტურული პოლიტიკის ფორმირებაში და ხელს უწყობს აქტიური მოქალაქეების ჩართულობას, აძლიერებს კუთვნილების და იდენტობის გრძნობას. ამასთან, ევროპულ ღირებულებებთან შესაბამისობა გადამწყვეტია, რომელიც ხაზს უსვამს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კულტურული თანამშრომლობის საერთო აღიარებას.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, ევროკავშირის კულტურული პოლიტიკის ეფექტურობის გაძლიერება უფრო მეტად უნდა იყოს მხარდაჭერილი, მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბებით, უკუკავშირის გამოყენებით პოლიტიკის ადაპტაციისა და დახვეწის მიზნით, დროთა განმავლობაში. ძალიან მნიშვნელოვანია კულტურული ლანდშაფტების დინამიური ბუნების აღიარება და ცვალებად გარემოებებთან ადაპტირების შესაძლებლობა.

კულტურულ ინსტიტუტებს, სამთავრობო ორგანოებსა და სხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის ნახალისება არსებითი იქნება განათლების, ეკონომიკისა და სოციალურ განვითარებასთან კულტურის ურთიერთკავშირის აღიარებით. საერთაშორისო ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის, მობილურობისა და გამოცდილების გაზიარების მხარდაჭერის გაძლიერება ხელს შეუწყობს მძლავრი კულტურული ქსელის შექმნას და ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას.

ამ ინიციატივების მხარდასაჭერად შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა და მრავალფეროვანი ჩარჩო, არა მხოლოდ ევროკავშირის ცენტრალიზებული ორგანოების მიერ, არამედ კერძო კულტურული ინსტიტუტებიდან წამოსული ინიციატივების საფუძველზეც. ღირებული ინიციატივები შესაძლოა წარმოიშვას არა მხოლოდ საერთაშორისო ინსტიტუტებიდან, არამედ შემოქმედებითი აქტორებისგანაც, რაც შეიძლება იყოს უფრო კონკრეტული და ეფექტური.

REFERENCES:

1. Janjalia, T. (2023). Georgia's European Perspective: A New impulse for Institutional and Everyday. The Levan Mikeladze Diplomatic Training and Research Institute (DTRI). Tbilisi. https://di.gov.ge/publications/analytical-collection/saqarthvelos-evropuli-perspeqtiva-akhali-bidzgi-instituciuri-da-yoveldghiuri-integraciisthvis/

2. Emerson, M., Blockmans, S. (2023). The 2023 Enlargement Package – Major Political Proposals and Glimmers of a Staged Accession Approach. SCEEUS GUEST REPORT

3. NO. 19 2023. Stockholm Center for Eastern European Studies. https://cdn.ceps.eu/wp-content/uploads/2023/11/the-2023-enlargement-package.pdf

4. European Commission. (2023). Association Implementation Report on Georgia, 2023 Communication on EU Enlargement policy. Brussels.

5. Fontaine, P. (2014). How the EU Works 12 Lessons on Europe. Brussels

6. Nielsen, K. L. (2013). EU Soft Power and the Capability-Expectations Gap. Journal of Contemporary European Research, p. 724.

7. The European Union promotes culture for a stronger Georgia. (n.d.). Retrieved July 3, 2023, from https://eeas.europa.eu/delegations/georgia/44928/node/44928_ka.

GEORGIA-EU COOPERATION IN THE FIELD OF CULTURE IN MULTILATERAL AND BILATERAL INTERNATIONAL FORMAT

Sophio Chantadze
GTU Doctoral Student, Strategic Development Manager,
LEPL Information System of Education Management
E-mail: schantadze@hotmail.com

RESUME

In the realm of international relations, the significance of culture and soft power is steadily growing, particularly in the establishment of diplomatic ties and the fostering of cooperation among nations. As Georgia progresses in its integration into the European Union—a political and economic endeavor given the union's nature—its motto of "unity in diversity" exemplifies the European commitment to peace, citizen well-being, and the celebration of cultural diversity.

The European Union stands as a prominent example of effective soft power utilization in international relations, with culture representing one of its most intricate integration domains. In the context of Georgia's deepening ties with the EU, a thorough examination of European and developed countries' cultural pathways and experiences becomes imperative. This analysis is essential for Georgia to chart a coherent, unified, and effective cultural policy, both domestically and on the global stage.

Following the European Commission's recommendation on November 8, 2023, Georgia was granted the EU candidate status by the European Council on December 14, officially becoming part of the EU's enlargement policy. Consequently, it becomes even more pertinent for Georgia to scrutinize and understand the EU's cultural policy, a cornerstone of its foreign relations strategy.

The influence of cultural policy on the EU-Eastern Partnership relations emerges as the significant force shaping their development. Cultural cooperation serves as a linchpin, fostering mutual understanding, identity preservation, and the cultivation of shared values.

The analysis of progress and challenges within Georgia-EU cooperation, both bilaterally and multilaterally, offers insight into how cultural relations are cultivated within the Eastern Partnership framework. The EU cultural policy, operationalized through various mechanisms like association agreements and support packages, prioritizes democracy, human rights, and cultural cooperation, adapting to the unique circumstances of each partner country.

Examining the EU's cultural policy within the Eastern Partnership context underscores culture's pivotal role in diplomacy, cooperation, and economic development. Establishing an effective vision centered on cultural cooperation is crucial for Georgia's engagement with the EU, positioning it as a cornerstone of the partnership's success.

Keywords: EU cultural policy, soft power, European integration, European perspective.